**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**G E O R G I A**

**CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY**

---

ოქმი:**ო97. 9724264001**

თარიღი:**20/09/2024**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**მორიგი სხდომის**

**ოქმი N-17**

**დ. ლენტეხი 18 სექტემბერი 2024წ.**

მიმდინარე წლის 18 სექტემბერს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება ესწრება საკრებულოს 14 (თოთხმეტი) წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრება საკრებულოს 7 (შვიდი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდა მერიის პირველად სტრუქტურული ერთეულის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე და ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ინგა ონიანი.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

   /მომხს: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი/

2. **ლენტეხის ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიში - 2024 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

   /მომხს: ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ინგა ონიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მძიმე ტექნიკის (ექსკავატორ - დამტვირთველი) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

   დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა. დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

   ხმათა უმრავლესობით მომხრე -14

   წინააღმდეგი -0

**დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.**

**1.მოისმინეს: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა გერმან ქურასბედიანმა სხდომის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით შიდა აუდიტის სამსახურს ჩატარებული აქვს წლიური გეგმით გათვალისწინებული 3(სამი) ობიექტის აუდიტორიული შემოწმება.ესენია:**

**1. ა(ა) ი.პ.ლენტეხის ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრი;**

**2. ა(ა)ი.პ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრი;**

**3. ა(ა)ი.პ ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი.**

**გარდა წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული შემოწმებებისა, აუდიტის სამსახურს შესრულებული აქვს სხვადასხვა არაგეგმიური სამუშაოც.**

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელი რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა შესრულების მონიტორინგს აწარმოებს შიდა აუდიტის სამსახური.**

**მომხსენებელმა განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა:**

**1. ა(ა)ი. პირებში თანამდებობრივი სარგოების გათანაბრებაზე და დახვეწაზე;**

**2. მუნიციპალიტეტის მიერ გარე განათების - ელექტროენერგიის უკონტროლო ხარჯის პრობლემის მოგვარებაზე; რომ სოფლებში არავის არ აქვს დავალებული აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებლობა და სტიქიურად ხდება მთელი მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯის დაანგარიშება;**

**3. დაბაში დაიწყო ახალი 12 მილიონიანი პროექტი - წყლის სისტემის გამოცვლა და არაფერია პროექტში ნათქვამი კანალიზაციის სისტემის გამოცვლაზე. მაგალითისათვის მოიყვანა სახანძრო შენობის გვერდით არსებული ანტისანიტარია.**

**აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - საკრებულო დიდი ხანია ითხოვს გარე განათებასთან დაკავშირებული პრობლემის კომისიურად შესწავლას და გამოსავლის მოძებნას. მერიამ შეიმუშაოს შესაბამის საკითხზე გეგმა და საკრებულო გამოხატავს მზადყოფნას, ჩაერთოს აღნიშნულ პროცესში.**

**შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა გერმან ქურასბედიანმა ამავე დროს აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამსახურში არ არის ეკონომიკის განყოფილება და აუცილებლად უნდა გაიხსნას განყოფილება, რომელიც იმუშავებს დაგროვილ პრობლემებზე.**

**პასუხად დავით პირველმა აღნიშნა, რომ მერიამ მოამზადოს არგუმენტირებული წინადადება შტატის დამატებაზე და საკრებულო მისცემს თანხმობას შესაბამის წინადადებაზე.**

**სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის დადებითად შეფასება.**

**ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე - 14**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული მერიის შიდა აუდიტის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

**2.მოისმინეს: ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ინგა ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო ლენტეხის ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიში - 2024 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

**მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ჩატარებულ ღონისძიებებზე: აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ექვსი თვის განმავლობაში მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა**

**495 -ს. მუზეუმი არის ჩვენი რაიონის სახე და ყველამ უნდა ვიზრუნოთ მის კეთილმოწყობაზე და გაძლიერებაზე. განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა მუზეუმის დარბაზში ვიტრინების და განათებების გაკეთებაზე. ილაპარაკა პრობლემებზე, ბიუჯეტში თანხის არ ქონაზე. ლარაშის ციხის აღდგენაზე. აქვე აღნიშნა, რომ თუ არ იქნება აღდგენა გაკეთდეს კონსერვაცია. მომზადებულია პროექტი, რომლის ელექტრონული ვერსია გადაგზავნილი იქნა კულტურისა და სპორტის სამინისტროში.**

**ხაზგასმით ილაპარაკა ივნისის თვეში ჩატარებულ სამუშაოებზე. კერძოდ მოხდა ეკლესიებში არსებული ძველი საეკლესიო ისტორიული ნივთების შეგროვება , დამუშავება და შესწავლა. ახლადაყვანილი ფონდების მცველის გიორგი გაბუნიას მეშვეობით აღნიშნული ნივთები, ხატების და ჯვრების დაზიანებული ნაწილები დამუშავებული და დანომრილი დროებით ინახება მერიის შენობაში.**

**ასევე აღნიშნა, რომ მოძიებული ჰყავთ სპონსორი და მიმდინარეობს მოლაპარაკება სოფ. ბაბილში, ოჯახში არსებული ნამარხი ნივთების შეძენაზე.**

**საკრებულოს წევრებმა მომხსენებელს დაუსვეს კითხვები მუაშში არსებულ ნამარხზე, ასევე სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით და აღუთქვეს დახმარება და თანადგომა არსებულ პრობლემების გადასაჭრელად.**

**სხდომის თავმჯდომარემ ანგარიშის შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე;**

**ხმათა უმრავლესობით მომხრე - 14**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიში - 2024 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

**3 მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მძიმე ტექნიკის ( ექსკავატორ-დამტვირთველი) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.“**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერის წინანდებას სხვა დოკუმეტებთან ერთად თან ერთვის მომზადებული ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ N-205.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 215.021 ლარს , დღგს გათვალისწინებით.

საქონლის მოწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე.

წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მიხედვით მომწოდებელი საქონლის მიწოდებასა და ექსპლუატაციასი გაშვებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდრული დღის ვადაში.

საქონლის მოწოდებას სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში გადაფორმებასა და ექსპლუატაციასი გაშვებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

**საკითხთან დაკავშირებით კითხვა დასვა მევლუდ ლიპარტელიანმა - რამდენი იქნება ყოველდღიური შენატანი ბიუჯეტში?**

**მომხსენებელმა განმარტა, რომ ანაზღაურება მოხდება საათების მიხედვით. ერთ საათში 40 ლარი.**

**შეკითხვა დასვა ამირან ქურასბედიანმა - ვინ განახორციელებს კონტროლს?**

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების თანახმად შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.**

**საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მომხრე -14**

**წინააღმდეგი -0**

**მიიღეს გადაწყვეტილება: მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს წინადადებაზე - ,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მძიმე ტექნიკის ( ექსკავატორ-დამტვირთველი) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.**

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ დღის 13 საათზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა.**

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი